

*ნათია არაბული*  
*ქიმიის ექსპერტი*

*სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი*  
*მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი*

### **მასტერკლასი ქიმიაში**

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პედაგოგებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მასწავლებლების უკვე არსებული ცოდნის სისტემატიზაციასა და მათთვის სიახლეების მიწოდებას როგორც საგნობრივი, ასევე მეთოდოლოგიის მიმართულებით.

ამ მიზნით მასტერკლასის ფარგლებში განხილული იქნება ქიმიური ბმის ელექტრონული და კვანტურ-მექანიკური თეორიები. აღნიშნული თემის შერჩევა განაპირობა საკითხის აქტუალობამ და იმ გარემოებამ, რომ ეს თემა ნაკლებად არის გაშუქებული ლიტერატურაში.

მასტერკლასი წარიმართება დისკუსიის რეჟიმში, მონაწილეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართულნი ამ პროცესში, მათ დაურიგდებათ სამუშაო ფურცლები, ისინი გაეცნობიან რამდენიმე საინტერესო ელექტრონულ რესურსს. საკითხის ასეთ ჭრილში განხილვა ხელს შეუწყობს სისტემური აზროვნების განვითარებას და საკითხის სიღრმისეულ ანალიზს.

**სამიზნე ჯგუფი:** 7-12 კლასის პრაქტიკოსი, უფროსი და წამყვანი ქიმიის პედაგოგები

**ხანგრძლივობა:** 4 სთ

**სესიების რაოდენობა:** 2 (სესიის ხანგრძლივობა - 2სთ)

#### **მასტერკლასის შედეგად**

მონაწილეები განიხილავენ ქიმიური ბმის:

- ელექტრონულ თეორიებს - ლუისის თეორიასა და სავალენტო ელექტრონული წყვილების განზიდვის თეორიას;
- კვანტურ-მექანიკურ თეორიებს - ვალენტური ბმების მეთოდსა და მოლეკულური ორბიტალების მეთოდს.